წელიწადი მე-2

ტელეფონი № 76.

კვირა, 5 ივნისი

# სამშობლო

№ 372

**გაზეთის ფასი:** წლიურად 9 მან., ნახევარი წლით 5 მ., თვიურად 4 აბ. ცალკე ნუმერი ერთი შაური. **დამატებით** 7 კ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილად გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 4 მ., დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილად

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., [illegible] სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 30 კაპ., უკან 20 კაპ. გლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 4 მ. 2 საათის შემდეგ 5 მან.

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ქალაქის ბაღში** დღეს, 5 ივნისს, თავად-აზნაურთა კომიტეტთან არსებული ქალთა წრე ომში წასულ ჯარის კაცთა ოჯახების სასარგებლოთ მართავს **გრანდიოზულ,** ყველასათვის ხელმისაწდომ, **სახალხო სეირნობას.**

ღია სცენაზე ნაჩვენები იქნება მსოფლიოს საკვირველებანი: შესანიშნავ **ქ-ნ ფრანკარიოს** ცოცხალი სურათები; შესრულებს 40 №№ 1, ახალი ჯარის კაცების მოკრება; 2, რუსის ჯარის სტამბოლზე გალაშქრება; 3, მოკავშირეთა გამარჯვება; 4, რუსეთის დიდება და მრ. სხვა.

მოწვეულია აგრეთვე ცეცხლით მოცეკვავე **მარგარიტა გრუზინსკაია.** დღეს ბაღში დიდი კარნავალია, ღამე პარიზში. 1000 მოციმციმე ცეცხლი. დღეს, ბაღში იქნება: ცეკვა, კონფეტი, მქროლავი ფოსტა, საბავშო თამაშობანი, სახედრებით სეირნობა, ბოლოს ძლიერი მაშხალები. სეირნობის დასაწყისი შუადღის 4 საათზე. დივერტისმენტი საღ. 9 საათზე. შესასვლელი ფასი დიდებისათვის 30 კ. ბავშვებისათვის, მოწაფეებისათვის და ჯარის კაცებისათვის 20 კ.

✝

ხვალ, ორშაბათს, 6 ივნისს, ქუთაისის რ. კათოლიკეთა ეკლესიაში, დილის 8 საათზე, გადახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი მეორე წლისთავისა მიცვალებულის

**ანასტასია ანტონ ჩილაშვილის ასულის მურვანიშვილის** (მეორე ქმრით მებუკის)

სულის მოსახსენებლათ, რასაც აუწყებს ნათესავთა და ნაცნობ-მეგობრებს ღრმად დამწუხრებული შვილი მისი აზ. მიხეილ პეტრეს ძე მურვანიშვილი. 1—1

კვირას, 5 ივნისს, საფიჩხიის სასაფლაოს ეკლესიაში გადახდილი იქნება პანაშვიდი

**ალექსანდრე ივანეს ძის კოსტავას**

სულის მოსახსენებლათ

ელექტრო **„რადიუმ“** თეატრი

ორშაბათიდან, 2 ივნისიდან ახალი პროგრამა

**პატე ჟურნალი 343.** მიმდინარე ამბები.

**ნავთისა და მილიონების სამეფოში**

მეორე სერია 4 ნაწილად ეპილოგით.

ელექტრო **„ამპირი“** თეატრი

ორშაბათიდან, 2 ივნისიდან ახალი პროგრამა.

**ქრონიკა გომონი,** მიმდინარე ამბები.

**სიყვარულის ტანჯვა.**

4 ნაწ. ურაძსკის მიერ დადგმული მხატვრული კინო დრამა. მოსკოვის თეატრის მსახიობთა ბ-ნ ი. ი. მოზჟუხინისა და ქ-ნ პოზდნიაკოვის მონაწილეობით.

ადგილების ფასი **„ამპირსა“** და **„რადიუმში“**; ლოჟა 85 კაპ., 1 ადგ. 75 კაპ., 2, 50 კაპ., 3, 30 კაპ. მოწაფეთათვის: 2 ადგ. 30 კაპ., ჯარის კაცთათვის მესამე ადგილი 20 კაპ.

**ექიმი** გაბრიელ იოსების ძე **გოკიელის** ელექტრინისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. საათ. 6-8 ალექსანდრეს ქ. საკუთარი ს. თ.

**ექიმი ი. ჩარქძოვი** ქალაქ. საავათმყოფოს ორდინატორი. იღებს კანის, ვენერიულ და სიფილისიან ავათმყოფებს. (სისხლში შესხმა „606“ და „914“) დილით, $12^1/_2$— საათ. საღ. 6—8 საათ. მისამართი: ლვვაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახ. ტელეფონი № 135. თ.

**ექიმი ა. მ. ასათიანი.** რადგანაც სამსახურის გამო ესენტუკში გაიწვიეს მინერალურ წყლების ჯგუფის ექიმად მან ავათყოფების მიღება 1 აგვისტომდის შესწყვიტა.

**ექიმი მულინი.** ყელის, ცხვირის და ყურების ღებულობს ავათმყოფებს ნაშუადღევის 2—3 საათამდი, საღამოს 6—8 საათამდი, კვირას გარდა. თბილისის ქუჩა № 70, სახლი ქაიხოსრო ჯაფარიძისა. 10

**ბებია მ. მ. კოხრეიძე** უცრის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევა-დარიგებას ოველ დროს. ალექსანდროვის ქუჩა, სვ. თევდორაძის სახლი, ფილიპოვის მაღაზიის პირდაპირ.

**გამოცდილი მასწავლებელი** სტუდენტი ამზადებს მოწაფეთ ყველა სასწავლებლისთვის ხელმისაწდომ ფასებში. მისამართი: გაზ. **„სამშობლოს“** რედაქც.

ქუთაისის ერთ-ერთ საშუალო სასწავლებლის უფროსი კლასის **რუსული ენის მასწავლებელი** (ტომით რუსი) რჩება რა საზაფხულოდ ქუთაისში,

**ამზადებს მოწაფეებს**

საშუალო სასწავლებლის ყველა კლასებისათვის, **სპეციალურად კი რუსულ ენაში.**

მისამართი: ძველი თბილისის ქუჩა, სახლი წინამძღვაროვისა. პირადად მოლაპარაკება ნაშუადღევის 2—5 საათამდე. 6-4

კვირას, 5 ივნისს, დღის 12 საათზე, შავი ქვის მრეწველთა საბჭოს დარბაზში დანიშნულია „სინათლის“ საზოგადოების წევრთა

**საზოგადო კრება.**

**კრების წესრიგი:** 1) კრების თავჯდომარისა და მდივნის არჩევა. 2) შემოსავალ-გასავლის ანგარიში და მოხსენება საზოგადოებისა და სასწავლებლის მოქმედების შესახებ. 3) სარევიზიო კომისიის მოხსენება. 4) მომავალი წლის ხარჯთაღრიცხვა. 5) მოხსენება წესდების რამდენიმე მუხლის შეცვლის შესახებ. 6) მოხსენება ადგილის შეძენის შესახებ. 7) გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრთა არჩევა ნაცვლად იმ პირთა, რომელთაც წესდების მიხედვით სამსახურის ვადა უთავდებათ.

**ქ. ქუთაისში 1 ივნისიდან იხსნება სამი თვის**

**ჭრა-კერვის**

კერძო კურსები.

მიღება დაიწყება სამ მაისიდან დამლევამდე. პირობების გაგება შეიძლება ფრანგების ქუჩის შესახვევში სახლი კოსტანოვისა, მასწავლებელ ეკატერინე ალხანაშვილთან, ნაშუადღევის 3—7 საათ. კვირა უქმეობით დილის 10 საათ. საღ. 6 საათამდი.

მსურველს შეუძლია სამოსწავლო ატესტატი მიიღოს.

56 ეგზამენების დაჭერა მოხდება ექსპერტების თანდასწრებით.

# მსოფლიო ომი.

## დეპეშები.

**უმაღლესი მთავარსარდლის შტაბისა.**

დასავლეთის ასპარეზი.

**პეტროგრადი.** ოფიციალური ხელმწიფე იმპერატორმა მიიღო იტალიის მეფისაგან შემდეგი დეპეშა: იტალიის ხალხთან ერთად დიდის განცვიფრებით თვალყურს ვადევნებ შენი ჯარის წინსვლას, რომელიც გამარჯვებით გვირგვინდება და გიგზავნი მხურვალე მეგობრულ მილოცვას. დარწმუნებული ვარ საერთო ძალა მოგვანიჭებს ჩვენ სრულ გამარჯვებას და გთხოვ გრწამდეს ჩემი უცვლელი მეგობრობა.

**დასავლეთის ასპარეზი.** პოლესიეს სამხრეთით მტერი დიდად დაზარალდა შებმის დროს. ძლიერი კონტრიერიშების წყალობით სოკლთან, როჟიშჩეს ჩრდილოეთით, სტირზე დავატყვევეთ 20 აფიცერი 1750 ჯარისკაცი. ლუცკის სამხრეთ დასავლეთით ჩვენი ცხენოსანი ჯარი მარჯვედ სდევნიდა მტერს გენ. სახაროვის ჯარის ერთმა ნაწილმა ძლიერი და მარდი ბრძოლის შემდეგ განსდევნა მტერი გამაგრებულ პოზიციებიდან, მდ. პლიაშევკაზე. კოზინისა და ტარნოვკას შუა, ერთი ახალგაზრდათა პოლკი ფონს გადიოდა მდინარეში ყელამდე წყალში, ერთი როტა მოხვდა რა ღრმა ალაგს, მთლიანად დაიღუპა. მამაცმა ჯარმა მედგრად განდევნა მტერი და ხელთ იგდო 70 აფიცერი და 5000 ჯარის კაცი ტყვეთ, 2 ზარბაზანი, ბევრი ტყვიის მფრქვეველი 1000 თოფი, დიდი ძალი ტყვია და ეკლიანი მავთული ვიხელთეთ- ასეთივე მედგარი იერიშით, ძლიერი არტილერიის დახმარებით აღებულ იქნა როსტაკის ტყე პოჩაევის სამხრეთით; ხელთ ვიგდეთ ტყვეები, ტყვიის მფრქვევლები და ყუმბარის მტყორცნელები. გენ. შჩერბაჩევის მამაცმა ჯარმა გაივორონკა გნილოვოდის მიდამოებიდან ავსტრიელები მდ. სტრიპის დასავლეთ ნაპირზე განდევნა. ბუჩაჩის ჩრდილო-დასავლეთით კიდევ გრძელდება ბრძოლა ავსტრიელებთან და მათ დამხმარე გერმანელებთან, ჯერ ჯერობით ხელთ ვიგდეთ ტყვეთ 6000 კაცი, ზარბაზნები, ტყვიისმფრქვევლები. მტრის ჰაეროპლანმა ჩამოყარა ყუმბარები ტარნოპოლში. დონის მამაცმა ყაზახებმა ტაატყვევეს 7 აფიცერი 600 ჯარისკაცი. დაახოლვებითი გამოანგარიშებით გუშინ ხელთ გვიგდია 100 აფიცერი, ექიმები, 14000 ჯარისკაცი და ცოტაოდენი მასალა. მდ. დვინის პირზე და უფრო სამხრეთით პოლესიემდე თოფისა და ზარბაზნის სროლაა. გუშინ ჩვენი არტილერია ძლიერ ცეცხლს ანვითარებდა მდ. დვინის რაიონში. ზოგ ალაგას მტერი შეტევაზე გადასვლას ლამობდა, მაგრამ ყველგან მოვიგერიეთ.

**კავკასიის ასპარეზი.** ზღვის პირა მიდამოებში რამდენჯერმე დაიწყეს შემოტევა, მაგრამ სროლით უკუ ვაქციეთ. ბაღდადის მიმართულებით 1 ივნისს შემოგვიტიეს და დაიპყრეს ქალაქი სერპული, მაგრამ შემდეგ გავდევნეთ და წინანდელ პოზიციებზე დავხევინეთ.

— —

**პარიზი.** 3 ივნისი. საღამოს ოფიციალური. საარტილერიო მომზადების შემდეგ ფრანგებმა ენერგიული იერიშის წყალობით აიღეს გერმანელთა სანგარი მორტომის სამხრეთ კალთებზე ამასთანავე ტყვეთ წამოიყვანეს 300 კაცი, მათში 3 აფიცერი. ბატანკურსა და 304 სიმაღლის შორის გაძლიერებული არტილერიის სროლაა. მაასის მარჯვენა ნაპირზე მტერი გამძვინვარებით უშენდა ფრანგთა საველე სიმაგრეებს ტიომონ—სუვილის ბრძოლის პირზე. დანარჩენ ნაწილზე ასპარეზისა საარტილერიო სროლაა.

**ჰავრი.** 2 ივნისი. ბელგეთის ოფიციალური. ჩვეულებრივი არტილერიის მოქმედების გარდა, არაფერი თვალსაჩინო არა მომხდარა რა ასპარეზზე. საღამოთი დაჟინებულ საარტილერიო მომზადების შემდეგ ცხენოსანთა შემწეობით მამაც ნეაპოლელთა ერთი ბრიგადა მონფალკონეს აღმოსავლეთით შეიჭრა მტრის ხაზში და მედგარი ბრძოლის შემდეგ სანგრები იტალიელებს დარჩათ; ხელთ იგდეს: ტყვეთ 10 აფიცერი 488 ჯარის კაცი, 7 ტყვიის მფრქვეველი. კაპრონეში ჰაეროპლანების ესკადრამ მარჯვედ დაუშინა ყუმბარები მატარებლის სადგურს, ლაგორინის ღელეში პოზინოსა და კამპამულოს ღელეთა შესართავში. აზიანოს ვაკე გორაკზე მტრის ჰაეროპლანებმა ყუმბარები ჩამოყარეს სანჯიორჯიოსა, ლინოგასოსა და პორტოროზაგოში; დაჭრილია ორი, ზარალი უმნიშვნელოა.

**ლონდონი.** ოფიციალური. ბრიტანიის მთავარ ბანაკისა საფრანგეთში. ასპარეზის დიდ ნაწილზე სიწყნარეა. ზილლებეკეზე ინგლისელებს დაუპყრიათ ახალი ადგილი რომელზედაც არტილერიის სროლა იყო. ეხლა აქ სიწყნარეა.

**რომი.** 2 ივნ. იტალიის მთავარი ბანაკის ცნობა. გუშინ ადიჯე—ევენტოს ხაზზე მზვერავთა ჩვეულებრივი შეტაკებანი და საარტილერიო სროლა იყო იტალიელების არტილერიამ გაჰფანტა მტრის ჯარის ზვოდები. მოძრაობის დროს მტრის ბატარეიას ზარბაზანი დაუშინეს იტალიელებმა. ნივენიოს სიმაღლის მიდამოებში და ჯოვესა და ბრაზონეს სიმაღლეთა მიმართულებით სხვადასხვა ადგილას იტალიელების პოზიციებზე მიტანილი იერიშები ავსტრიელებისა მოგერებულ იქნა.

**ლონდონი.** 3 ივნისი. საამირბაროს ცნობა შემდეგ სურათს გვიხატავს კრეისერ „გემპშაირის“ დაღუპვისას. გემი წა

# ომის დღიური.

**აღმოსავლეთის ასპარეზი**. მდ. დვინაზე და უფრო ქვეით პოლესიემდე ზარბაზნისა და თოფის სროლაა. მდ. პლიაშოვკაზე, კოზინისა და ტარნოვკას შუა რუსებმა განდევნეს ავსტრიელები ძლიერი სიმაგრეებიდან. აქ რუსებმა ტყვეთ ჩაიგდეს 100 აფიცერი და 14000 ჯარის კაცი, ტყვიის მფრქვეველები, ყუმბარის მტყორცნელები, ეკლიანი მავთული და სხვა დავლა. რუსებმა დაიპყრეს, როსტაკის ტყე.

**კავკასიის ასპარეზი.** რუსებს დაუბრუნებიათ ქალ. სერპული. ზღვის პირას ოსმალთა იერიშები მოგერებულ იქნა.

**აფრიკაში.** ინგლისის ჯარს ვილჰელმსტალი დაუპყრია.

**ვერდენთან** მაასის მარცხენა ნაპირზე ფრანგებმა მორტამის კალთაზე სანგარი აიღეს.

მარჯვენა ნაპირზე გერმანელები მძლავრედ უშენენ ზარბაზანს ტიომონ—სუვილის ხაზს.

ბელგეთის ასპარეზზე საარტილერიო ბრძოლაა.

**იტალიის ასპარეზი.** მონფალკონეს აღმოსავლეთით იტალიელებმა ფიცხელი ბრძოლის შემდეგ ავსტრიელების სანგრები ჩაიგდეს ხელში. დანარჩენ ნაწილში ასპარეზისა საარტილერიო და საჰაერო ბრძოლაა.

სწყდომია ნალმს და ჩაძირულა 15 წამის განმავლობაში. მსახურებს ნაბრძანები ჰქონდათ ნავებში ჩამსხდარიყვნენ. „კიტჩენერი" უკანასკნელ წამს გემის წინა ნაწილზე უნახავთ კაპიტანის ნავთან, რომელსაც მას კაპიტანი სთავაზობდა, მხოლოდ ჩამოსულა კიტჩენერი თუ არა, ვერავინ ვერა სთქვა. 370 მსახურთაგან არავინ გადარჩენილა; სიმშილისაგან და სიცივისაგან წყალში სცვიოდნენ თურმე.

**ლონდონი**. 3 ივნისი. სამხედრო სამინისტრო. გენ. სმეტსი იტყობინება, რომ 31 მაისს ჩრდილოეთის ჯარს მაკიუიუნს მიუღწევია. ვილჰელმსტალი ეხლა მათ ხელში ყოფილა და ტანგადან მტერი გაუდევნიათ.

## ჟურნალ-გაზეთებიდან.

ავსტრიის გაზეთები, ეხებიან რა გალიციის ასპარეზს, შემდეგსა სწერენ: მოულოდნელი არაფერი მომხდარა, უკან დახევა ომში არ არის მაინცადამაინც გასაკვირი და უმეტეს შემთხვევაში უკან დახევა სტრატეგიული მოსაზრებით ხდებაო. ამიტომ ავსტრიელებმა თავისუფალი მოქმედების შესანარჩუნებლად ზოგიერთა ადგილში უკან დახევა ამჯობინესო.

ამავე სტრატეგიული მოსაზრებით უკან დაიხია ამას წინად ცნობილმა ფელდმარშალმა ჰინდენბურგმა ვარშავასთანაო.

— —

გერმანიის გაზეთები ახალ საზღვაო ბრძოლაზე სწერენ.

— —

ამას წინად შეთანხმების პრესამ გადმოგვცა, რომ გერმანიის წყალ ქვეშა „ფესტფალენი" ჩაიძირაო. გერმანიის საადმირალომ ეს ხმა უარჰყო და განაცხადა—კრეისერი „ფესტფალენი" მტრის ერთ-ერთ სანაპიროებისკენ არის გაგზავნილიო.

ოსმალებმა სიკვდილით დასაჯეს სომხის მღვდელ-მთავრები: ტიგრანი და კერატი.

— —

რუსი ტყვეები ოსმალეთში აფიუნსა და კარახიროსში გადაუყვანიათ.

— —

საბერძნეთის პოლიტიკური მდგომარეობა წინანდებურად სერიოზულია. დღეს 8 დღე შესრულდა, რაც საბერძნეთს ბლოკადა აქვს შემორტყმული.

— —

სტამბოლში დაიწყო ოსმალებისა და უნგრელების დიდი ყრილობა. ყრილობის მიზანია ოსმალეთ-უნგრეთის ერთმანეთთან დაახლოვება. ყრილობას ოსმალეთის მიწადმოქმედებისა და საგარეო საქმეთა მინისტრი თავჯდომარეობს.

— —

ოსმალეთის სულთანს მაჰმად მეხუთეს ხანგრძლივი საუბარი ჰქონია ენვერ-ფაშასთან და სანდერსთან.

— —

„რუსკ. ვედ." იუწყება, რომ ქ. ლუცკი ყუმბარების დაუშენლად აუღიათ რუსებს და ქალაქი სრულებით დაზიანებული არ არისო.

— —

ვერდენის ოპერაციის ხელმძღვანელს კრონპრინცს უთქვამს ამერიკელ ჟურნალისტისათვის: „ჩვენ ვერდენის აღებას არც ისე ვჩქარობთ, რადგან ამას არც სტრატეგიული მოსაზრება გვიკარნახებს და არც ჩვენა ვართ მაინცდამაინც დაინტერესებული ვერდენის იქითა მხარეს გალაშქრებით. ჩვენ ვიბრძვით ვერდენის გარშემო და ამ ბრძოლაში გამოჩნდება თუ ვის უფრო მაგარი ნერვები აქვსო."

— —

ბალტიის ამბებმა რუმინიაში შეთანხმების სახელმწიფოთა შორის დიდი აღფრთოვანება გამოიწვია, მხოლოდ გერმანოფილები არიან დაფიქრებულნი.

— —

ალეპოში ოსმალებს 40,000 ჯარის კაცი გაუგზავნიათ, რადგან მოსალოდნელია ალეპოც ბრძოლის ასპარეზად გადაიქცესო.

— —

გალიციის ასპარეზზე ლუცკის აღების დროს დაიჭრა რუსის ჯარის პოლკის კომანდირი ველიცკი, რომელიც 28 მაისს გარდაიცვალა.

— —

რიგა-დვინის ასპარეზზე კვლავ ერთგვარი სიჩუმეა. უცხოეთის გაზეთები იუწყებიან, რომ რიგა-დვინის ფრონტზე გერმანელებმა ახალი ჯარები გადმოიყვანესო.

— —

ოსმალეთის ოფიციოზი „ტანინი" სწერს: „ჩვენ თუმცა ვერ შევძელით ყველა ქვეყნის მაჰმადიანობის საომრად გამოყვანა და სამღვთო ომის გამოცხადება, მაგრამ ეს აიხსნება ჩვენი მოუმზადებლობით. დღეს კი, როდესაც ჩვენი მიწა-წყალის დიდი ნაწილი დავკარგეთ, ზოგიერთი ვაჟბატონი სეპარატიულ ზავსაც კი მოითხოვს. რასაკვირველია, მათ მოღალატისებურ სურვილს ყურადღებას არავინ მიაქცევს და ყოველი ჭეშმარიტი ოსმალო ეცდება თავისი ბუნებრივი მიწა-წყალი მაინც საჩქაროდ ჩამოართვას მტრებს. გაზეთი სურვილს გამოსთქვამს, რომ ურიგო არ იქნება, თუ ოსმალეთის გავლენიანი პირები კვლავ შეეცდებიან სალვთო ომის გამოცხადებას და მთელი მაჰმადიანობის მომხრობასო.

— —

რუსებს გერმანიის ასპარეზზე ერთი საყურადღებო ტყვე წამოუყვანიათ. ტყვეს კარგად სცოდნია თურმე რუსული და ფრანგული. რუსების შეკითხვაზე, თუ ვინ არის იგი, ტყვეს უთქვამს: მე ჩემს ვინაობას ვერავის ვეტყვი, თუმცა ჩემს სახელს ყველგან იცნობენო.

— —

ოსმალეთის ასპარეზზე ოსმალოს ჯარს ერთ წყლის პირას დიდძალი გველი შეუმჩნევია, გველები, თურმე, რაღაც ახალი ფერის არიან და ჩვეულებრივზე უფრო მოზრდილნი.

— —

ამერიკის პრეზიდენტს ვილსონს უთქვამს: მე იმ შემთხვევაში დავთანხმდები საზავო მოლაპარაკების შუაკაცობა ვიკისრო, თუ მებრძოლი მხარეები ჩემს მიერ შედგენილი გეგმით იხელმძღვანელებენ სამშვიდობო მოლაპარაკების დროსაო.

— —

გერმანელები სწერენ: ვიდრე საზავო მოლაპარაკება დაიწყებოდეს, ამერიკაში პრეზიდენტის არჩევანი მოხდება. და, თუ ჩვენ პრეზიდენტის ადგილზე ჩვენი პირი გავიყვანეთ, მაშინ გამარჯვება ჩვენს ხელთ არისო.

— —

დაღუპულ გემ „ჰემპშაირიდან" ორი აფიცერი და 11 ჯარის კაცი გადაურჩენიათ.

— —

პირეაში (საბერძნეთი) შეთანხმების სახელმწიფოების დესპანებმა საბერძნეთის სეკრეტარიატს განუცხადეს, რომ არავითარი სესხი არ მიეცეს საბერძნეთს.

— —

სალონიკთან ბრძოლის დროს დაიღუპა ოსმალეთის პარლამენტის (მაკედონიიდან) წევრი მოგილევსკი.

— —

ბალკანეთზე მდგომარეობა კვლავ ნერვიულია, დრო გამოშვებით წვრილმანი შეტაკებები ხდება, ვარდარის მარცხენა ნაპირზე. ამბობენ, საბერძნეთის სანაპიროების ბლოკადა დიდ გავლენას იქონიებს ბალკანეთის ბრძოლაზეო.

— —

30 მაისს შესრულდა 97 კვირა, რაც მსოფლიო ომი დაიწყო.

— —

საფრანგეთის სამხედრო შტაბმა ოფიციალად აღიარა 321 მაღლობის დაკარგვა და გერმანელების წინ წაწევა.

## სამხედრო მიმოხილვა

### მდგომარეობა ბალკანეთში.

ინგლისის ამირბარათ ნამყოფმა (საზღვაო მინისტრმა) კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა სამხედრო სამინისტროს მოქმედება. რამოდენიმე კვირის წინად ქვედა პალატაში სხვათა შორის, ჩერჩილმა საყვედური უთხრა მთავრობას სალონიკის საექსპედიციო კორპუსის უმოქმედობისათვის [illegible] სალონიკისა და დარდანელის ოპერაციის ერთნაირობას ამტკიცებდა.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ სადესანტო ოპერაცია მაინცადამაინც არ არის სასარგებლო და უმეტესი ნაწილი სადესანტო ოპერაციებისა წინა ომებში უნაყოფო გამომდგარა. სადესანტო ოპერაციას მაშინ შეუძლია სარგებლობის მოტანა, როდესაც იგი მხოლოდ დამხმარეა ხმელეთის მხრით წარმოებული დიდი ოპერაციისა. ასეთი იყო რუსების დესანტი ტრაპიზონის სამხრეთ დასავლეთით და კარგი ნაყოფიც გამოიღო.

მხოლოდ დესანტს მაშინ შეუძლია მიაღწიოს მიზანს, თუ იგი რიცხვით აღემატება მის მოწინააღმდეგე ჯარს, იარაღის მიმწოდებელი და საკვები ბაზა ახლოს აქვს, ზურგს უმაგრებს ძლიერი სამხედრო ფლოტი და მრავალი სატრანსპორტო გემი; ყველა ამასთანავე სადესანტო ოპერაცია მოულოდნელი უნდა იყოს ამ პირობებით იყო უზრუნველყოფილ. პორტარტურის ოპერაცია რუსეთ-იაპონიის ომში და ამიტომ თავის დანიშნულებას [illegible] შეასრულა ამ ოპერაციამ.

რაც შეეხება სალონიკის სადესატო ოპერაციას, ინგლისის ბევრი ცნობილი სამხედრო პირი თავიდანვე ეჭვის თვალით უყურებდა მას და, სხვა რომ არა იყოს რა, უნაყოფოდ სთვლიდა მას.

გავიდა ექვსი თვე და რა გააკეთა ამ ხნის განმავლობაში სალონიკის კორპუსმა?

თავის დანიშნულებათაგან ერთი, უმთავრესიც კი ვერ შეასრულა, მიუხედავათ იმისა, რომ კორპუსი იგი გაძლიერებული იქნა, მან ვერ შესძლო შესაფერი გავლენის მოხდენა საბერძნეთზე, რომელმაც სწორედ სალონიკის ოპერაციის დროს დაიწყო გერმანეთისადმი თავისი სიმპატიების გამოაშკარავება.

ამ გაბედულებასა და თავხედობას სარჩულად უძევს შეგნება სალონიკის ოპერაციის უსარგებლობისა,

ვინაიდგან მოკავშირები თითქმის ექვსი თვეა და ჯერ კიდევ ვერ გადასულან შეტევაზე და ბულგარელბი კი კმაყოფილდებიან მით, რომ თავის მფარველს, გერმანეთს, მოაშორეს თავიდან ოთხას ათასიანი ჯარი და ამოდენა ხარჯებს აწევინებენ მოკავშირეებს. ბოლოს და ბოლოს ამ კორპუსსაც მომავალში ცუდ პირობებში მოუხდება მუშაობა.

ბაზა რამდენიმე ასი ათასი ვერსით აქვს დაშორებული, საბერძნეთი და რუმინეთი მაინცა და-მაინც არ მიეშველებიან მათ და მოწინააღმდეგეს კი შეუძლია საჭირო დროს შეჰყაროს ძლიერი ჯარი.

ამიტომ სამართლიანია ზოგი სამხედრო პირის უკმაყოფილება ამ ოპერაციით. დიდი სამსახური შეეძლო გაეწია ამავე ჯარს დასავლეთ ასპარეზზე.

შვერედი.

## რა ვუწოდოთ?

თანამედროვე კულტურული ქვეყანა, ყოველი ერი თუ, სახელმწიფო მიისწრაფვის ეკონომიური აღორძინება-განვითარებისაკენ.

ამ ნიადაგზე გამართულია კულტურული ბრძოლა. კონკურენციას ფართო ასპარეზი აქვს დათმობილი და მხოლოდ იმ ერს შეუძლია თავისი არსებობის მტკიცე და შეურყეველ საფუძველზე დამყარება, რომელიც ამ კონკურენციაში ენერგიისა, შრომისა, შემოქმედების უნარსა და საჭირო გამჭრიახობას გამოიჩენს

ბუნებით მდიდარი, ყოველი სიკეთითა და უპირატესობით შემკული ჩვენი ქვეყანა ერთობ ჩამორჩა ამ საერთო წინსვლას. მან საუკეთესო ხანები ოცნებასა და ურთიერთშორისო კინკლაობაში გაატარა. ამავე დროს-კი გაძლიერდა უცხო კაპიტა-

## წერილი რუსეთიდან.

### ათი წლის წინად.

(1906.—27 აპრილი—1916.)

(იხილე „სამშობლო" № 372.)

მიუხედავათ იმ მწარე გაკვეთილებისა, რომელიც ხალხმა განიცადა, ჩვენ გამოვსთქვით ჩვენი შეხედულება მომავალზე. ჩვენ წინ ორი დღეა: 27 აპრილი 1906, და 27 აპრილი 1916 წლისა. თვალუწვდენი ხრამია ამ ორ დღეს შორის ამ ორ დღეს წინ დავუყენოთ მესამე სრულიად მნიშვნელობას მოკლებული აპრილი 1896 წლისა, ე. ი. ათი წლის წინად სათათბიროს გახსნამდის. ვინ გაიფიქრებდა მაშინ, რომ ათი წლის შემდეგ გაიხსნება სხდომები რუსეთის პარლამენტისა იმ დროს, როდესაც აბსოლიუტური სახელმწიფოს ხომალდს ნიჩბებს უსვამდენ ისეთი სპეციალისტებისა და ღრმა რწმენით აღსავსე პირების ხელები როგორიც იყვნენ: პობედონოსცევი, მურავიოვი, გორემიკინი, დელიანოვი და სხვები, განა მაშინ ვისმე შეეძლო ეფიქრნა, რომ ათი წლის შემდეგ რუსეთის ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე მოთავსდებოდა ანგარიშები რუსეთის პარლამენტის სხდომებისა! ამაზე რომ ჩამოგვეგდო ლაპარაკი, მაშინ მეოცნებეს გიწოდებდენ, მეტსაც ვიტყვი: „საცოდავი შერყეულა მეტი ოცნებისაგანაო" იტყოდენ.

— —

ამ „უაზრო ოცნებამ" ათი წლის შემდეგ ფრთები შეისხა და თუ მაშინაც, ასე ვსთქვათ იმ დროს, ნიშანიც კი არ იყო რაიმე დაწყებულებისა, და მაინც ფიქრობდენ, მოელოდენ რაღაცას; თუ კი მაშინ მოიპოვებოდენ ისეთი შორსგამჭვრეტი და იმედ წაურთმეველი პიროვნებები, რომელთაც სწამდათ ამ დღის დადგომა, რა გვემართება დღეს? რად ჩავვარდნილვართ სასოწარკვეთილებაში და ვგოდებთ იერემიასებურათ? რათ წაგვრთმევია იმედი ბრწყინვალე მომავლისა? მე მხედველობაში მყავს არა მარტო რუსეთის მცხოვრებნი, არამედ ქართველი ხალხი. დავუბრუნდეთ ისევ პარლამენტს. რაც უნდა იყოს, არის პარლამენტი, რომელიც ცისკრის ვარსკვლავია, მზის ამოსვლის წინამორბედი. თანამედროვე სახელმწიფო სათათბირო საძირკველია, რომელზედაც შემდეგში აშენდება უფრო დიდი რამ, რომელიც მოუპოვებს ხალხს ხსნას, ბედნიერებას, და ამიტომ შორს პესიმიზმი! დრო ჩოვა და ის სამგლოვიარო ძაძა, რომელშიც გახვეულია დღეს მრავალი სახელმწიფო და მასთან ერთად დაჩაგრული პატარა ერები, შეიცვლება სამხიარულო, საზეიმო ტანთსაცმელით. ვერ გვაკმაყოფილებს ჩვენ, და ვერც რუსეთის ხალხს ეს პარლამენტი, მაგრამ მაინც პარლამენტია. ეს რუსეთის ,,alma mater''-ია.

როდესაც რუსეთის პარლამენტის ყველაზე უფრო დაჩრდილულ წამებში, მესამე სათათბიროს პირველ სესიაში ბიუროკრატიის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა სთქვა: ,,მადლობა ღმერთს, ჩვენ პარლამენტი აღარა გვაქსო'', ამ სიტყვებმა აღაშფოთა ისინიც კი, რომელნიც პარლამენტარულ ცხოვრებაში მოიწვია მხოლოდ 3 ივნისის აქტმა. გრაფ უვაროვმა (ოქტომბრისტი) ფრაქციის სახელით კოკოვცევის საპასუხოთ განაცხადა, რომ ,,სახელმწიფო სათათბირო ეს პარლამენტია და არა სხვა რამე''-ო; სათათბიროს თავჯდომარემ კი ოქტომბრისტ ხომიაკოვმა კოკოვცევის სიტყვას ,,უადგილო'' უწოდა.

სახელმწიფო სათათბირო ეს ნორჩი პარლამენტია; ეს იმის თავდებია, რომ მას კიდევ დიდი მომავალი აქვს, ის გვეუბნება, რომ სათათბიროსი მომავალი ბრწყინვალეა.

მართალია, მაშინდელი მომენტი და დღევანდელი დრო სრულიად არ შეეფერება ერთმანეთს. მათ შორის გაუვალი ხრამია. მაშინ რეაქციის მხარეზე იდგა მთელი კლასი, რომელიც დაინტერესებული იყო მისი გამარჯვებით; კლასი მსხვილი მემამულეებისა, და კლასი მსხვილი ბურჟუაზიისა. პირველ სათათბიროში ის ჩაძვრა სოროში, მეორე სათათბიროში მან უკვე გვამცნო თავის არსებობა; 3 ივნისის აქტის შემდეგ კი საზოგადოებრივი ავანსცენის $^3/_4$ დაიკავა. ამიტომ იყო ძნელი რეაქციასთან ბრძოლა მაშინ. ეხლა პოლიტიკური ორგანიზაცია ბევრად უფრო დამუშავებულია, ბევრათ უფრო მჭიდროთ არის მოწყობილი. რეაქციის მწვერვალიდან გადმოვარდა და შეუნანებლად განშორდა მას უკანასკნელი კლასი. გადატყდა უკანასკნელი ბოძი, რომელიც მას ამაგრებდა. პროგრესიული ბლოკის გამოსვლა მაჩვენებულია ამ დასის გარდაქმნის და ფერის ცვალების, რომელიც წინად თავისა და ხალხის ბედნიერებას ხედავდა რეაქციასთან კავშირში. ვიღას უნდა დაეყრდნონ, თუ კი მას განშორდენ ბობრინსკები და კრუპენსკები, შულგინები და სავენკოვები.

რუსეთის რეაქციის უნიადაგობა თავდებია რუსეთის პარლამენტის აყვავების, განდიდების, თავმდებია სახელმწიფო სათათბიროს სხივმოსილების, მე ვამბობ სახელმწიფო სათათბიროსი, რომელმაც 27 აპრილს 1916 წელს იდღესასწაულა თავის ათი-წლის თავი, ათი წლის არსებობა ამ დღეს დიდი რუსეთი დღესასწაულობდა, ზეიმს იხდიდა მოწინავე რუსეთი, ამ დღეს სალამს უგზავნიდენ ყველანი რუსეთის პარლამენტს. პრესა ამ დღეს შესაფერისად გაუმასპინძლდა. დაწყებული უკიდურეს მემარცხენედან და გათავებული უკიდურეს მემარჯვენე გაზეთით, ყველამ აღნიშნა ეს დღე, სდუმდა მხოლოდ საქართველო. გაჩუმებული იყო მხოლოდ ქართული პრესა და ან რა უნდა ეთქვა მას. რა უნდა ეთქვა ერთ დროს მთლიან და დღეს განახევრებულ საქართველოს? რა უნდა ეთქვა იმ საქართველოს, რომელმაც, 200,000 თავისი ღვიძლი შვილი მოიგლიჯა მკერდიდან და თანამედროვე უმაგალითო ომს გადაუგდო ზარბაზნის ხორცათ; რა უნდა ეთქვა იმ საქართველოს, რომელსაც სრულიად დაუმსახურებლათ, მადლობისა და ნუგეშის მაგიერათ, მოსდგა დღეს რუსეთის თითქმის ყველა პროგრესიული გაზეთი, რუსეთის პრესა და მიწასთან გაასწორა ის; ათასნაირი ცილი დასწამა და ღალატშიც კი ბრალი დასდვა და ჩვენ ვსდუმდით, მიუხედავათ იმისა, რომ კარგათ ვიცოდით რა სარჩულიც ედვა ამ გამოლაშქრებას, და ვინც უკარნახებდა რუსულ პრესას ამას.

მიუხედავათ ყოველივე ამისა, ჩვენც სალამს ვუძღვნით რუსეთის პარლამენტს, მაგრამ (იმ პირობით გაძლევ, რომ შენც მომცე). ეს ბრძნული თქმულება მხედველობაში იქონიონ ქართველი ერის წარმომადგენლებმა სათათბიროში და ხმამაღლა აღიარონ ,,suum cuique'' (ყველას თავისი). არ ვიტყვით, რომ სათათბიროში ჩვენი წარმომადგენლები არ იყვნენ ღირსეულნი შვილნი, მათი სახელი, მათი გამბედაობა არა თუ რუსეთს, თვით ევროპასაც აკვირვებს, მაგრამ ჩვენ რა?

ქართველ ერსაც უნდა მიეცეს თვისი. ნუ დაავიწყდებათ მათ, რომ დღეს ქართველი ერის ავათმყოფობა, ეროვნული სატკივარია, მას სწყურია თავისი. ქართველი ერი ათი წელია შეჰყურებს რუსეთის პარლამენტს. ქართველი ერი ათი წელია, ციურ მანანასავით მოელის თავის წარმომადგენლებისაგან, რომ ისინი ამცნობენ რუსეთის პარლამენტარისტებს ქართველი ერის არსებობა, რომელიც რუსეთის პარლამენტში ჯერ არ იციან, და ეს მათ, ე. ი. ჩვენმა წარმომადგენლებმა უნდა ამცნონ. დიდია მათი მოვალეობა, მაგრამ დიდიც იქნება მადლი. განსაკუთრებით დღეს არის საჭირო მათი გაბედაობა, მათი ხმა. ენახოთ ,,Qui vivra verra'' (ვინც იცოცხლებს, ის დაინახავს, მომავალი გვამცნობს).

ილ. ჟღენტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი, გარეშე ვაჭრობა მრეწველობა, უცხო ძალა და უცხოთა გავლენა.

დაეცა მეურნეობაც, ვერ განვითარდა ეროვნული აღებ მიცემობა ვერ შეიქნა ეროვნული ეკონომიური ძალა. ამ გვარი მდგომარეობა აუტანელი და საგრძნობელი შეიქნა, რასაც ამ ბოლო ხანებში ჩვენი ქვეყნის გულშემატკივრებმა ყურადღება მიაქციეს.

დაჰბერა ახალმა სიომ, გაჩნდა ახალი მიმდინარეობა ეკონომიური გაზრდა განვითარებისა, აყვავებისა, ეროვნული სიმდიდრის შექმნისა და დაგროვებისაკენ მიმართული.

ყოველი საზოგადო, თუ კერძო თაოსნობა ეკონომიური ნიჭი, მოქმედებისა და შრომის უნარი საპატიო და საყურადღებო უნდა იყოს და ჩვენც დიდის პატივით ვეპყრობით საქმის ხალხს, თუ საქმე მათი, მოქმედება და შრომა განზომილ იქნება ეროვნული თვალთახედვით, ეროვნული გამჭრიახობით და ეროვნული პრინციპებით, ხოლო ყოველი ქართველის მტკიცე მოვალეობად აღვიარებთ გულის წყრომითა და ზიზღით შეხვდეს იმ პირთა მოქმედებას, რომელნიც თავის შრომასა და ენერგიას ეროვნულ საქმეთა საწინააღმდეგოდ ხმარობენ!..

ვინ არ იცის რა უბედურობა დაადგა, რა აუწერელს მდგომარეობაში ჩავარდა ჩვენი ეროვნული სხეულის ერთი საუკეთესო ნაწილი--აჭარა. ამაზე იმდენი ითქვა იმდენი დაიწერა, რომ კვლავ სიტყვის განგრძობა ზედმეტათ მიმაჩნია. ქართველმა საზოგადოებამ იგრძნო ტკივილი თავის სხეულში ჩასობილ მახვილისგან გამოწვეული, და ყოველი ღონე იხმარა, და ახლაც ხმარობს, მის საშველად. უპატრონოდ მიგდებულ და მტერთაგან აოხრებულ გაპარტახებულ მამულ-დედულს უცხო ელემენტები შემოესიენ, მის წასაგლეჯათა და დასაპატრონებლად, და რამდენიმედ კიდეც მოასწრეს ამის შესრულება. აქ ხმა ამოიღო ქართულმა პრესამ, საზოგადოებამ, მთელმა ერმა.

ქართულმა საქველმოქმედო საზოგადოებამ დიდი შრომა და ენერგია გამოიჩინა ამ საქმეში. უმაღლესმა მთავრობამ სამართლიანის თვალით შეხედა ქართველი ერის ერთსულოვან ღაღადს და აჭარელთა სოფლების მოვლა-პატრონობის უპირატესობა ქართულ საქველმოქმედო საზოგადოებას არგუნა, სანამდი გადახვეწილნი ისევ არ დაუბრუნდებოდენ თავის კერას

კარგად ცნობილმა ფინანსისტმა ბ. რაჟდენ დათეშიძემ იმ ხანებში იჯარით აი ლო ერთი დიდი და თავისი სამეურნეო კულტურით და ყოველგვარი მოწყობილობით ცნობილი სოფელი და საქვ საზოგადოებას მისთვის, რასაკვირველია, ხელი არ შეუშლია. განა შესაძლებელი იყო ეფიქრა ვისმე, რომ რაჟდენ დათეშიძეს მცირეოდნად მაინც შესმენილი არ ჰქონდა მწუხარებისა და აღელვების ის საერთო ძახილი, რომელიც გაისმოდა მთელს საქართველოში. მაგრამ ეს ასე არ ყოფილა!

ბ. რაჟდენ დათეშიძეს ეს ერთი საუკეთესო სოფელთაგანი, სოფელი მოშენებული, გაკულტუროსნებული, გადაუცია ვიღაც ოგანეზ პეტროსიანცისათვის. მას თავი არ შეუწუხებია წინადადებით მიემართა ქართულ საქვ. საზოგადოებისათვის, რომელსაც შეეძლო ამ სოფლის ჩაბარება ისე, როგორც იკისრა მან სხვა მამულების მოვლა პატრონობაც. მორიგებია პეტროსიანცს, რასაკვირველია, დიდ ფასში და თავისი უფლება მისთვის მიუყიდია. რადგანაც ამის შესახებ ქუთაისის სახელმწიფო მამულების გამგეობის სანქცია იყო საჭირო, აქაც მას განცხადება შეუტანია. და უკანასკნელსაც უკვე ყოველი ფორმალური მხარეც შეუსრულებია. როდესაც ჩვენ ეს გავიგეთ, მივმართეთ ხსენებულ გამგეობას, მაგრამ უკვე გვიან იყო. ამ სოფლის პატრონი უკვე პეტროსიანციაო, თვითონ თქვენები უწყობენ ხელს იმას, რაზედაც თქვენ ამდენს ყვირითო —გვითხრეს...

შეძენის წყურვილი, სიმდიდრის შექმნა, შრომა, მოქმედება, ვაჭრობა და მისი განვითარება, ყველაფერი ეს პატივსადები უნდა იყოს საქმის მოყვარულ ადამიანისათვის, მაგრამ ვერცხლის მოყვარეობით ჩადენა იმისთანა საქმისა, რომელიც თითოეულს, მცირეოდნადაც შეგნებულ ქართველს, გულში მოხვდება, ვით მტრისგან მოქნეული ბასრი მახვილი, ყველა კეთილშობილ ქართველში უნდა იწვევდეს სამართლიან გულის წყრომას, რის შესახებაც გაჩუმება ყოვლად შეუძლებელია!

ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ის წრე ვაჭართა თუ ინტელიგენტთა, რომელიც პატივის მცემელია ბ. დათეშიძისა ჯეროვანს მსჯავრს დასდებს ბ. დათეშიძის ამ სამწუხარო საქციელს და პასუხსაც მოსთხოვს მას.

ბ. ჯაიანი.

## ქართული პრესა.

უბედური იღბლის ხალხი ვართ ქართველები. ჩვენი ყველაფერი შურით, ჩვენი ყველაფერი უკვირთ, თუნდაც ჩვენი მოქმედება—სულისკვეთება სრულიად სამართლიანი, კანონიერი და საუკუნოებით განმტკიცებულიც იყოს!

მოგეხსენებათ, რომ მსოფლიო ომის გამო აწიოკებულ აჭარლებს ქრისტიანმა ქართველობამ ხელი გავუწოდეთ და ქართველმა მაჰმადიანებმაც მოინდომეს ჩვენთან ძმობა-ერთობა. ასეთი ბუნებრივი მოვლენა ბევრს თურმე შიშსა ჰგვრის და რომ ამ თავითვე ბოლო მოუღონ ჩვენს ურთიერთობას, განუზრახავთ გამოსდევნონ აჭარიდან მათი სამშობლო ენა-ქართულიც კი! აი, რასა სწერს ამის შესახებ გაზეთი „საქართველო“:

„ბოლო დროს ბათომში ხმა გავრცელდა: ადგილობრივი ბიუროკრატია აპირობს მათ შორის სკოლების მრავლად გახსნას. საამისოდ ადგილობრივ ადმინისტრაციას შეუმუშავებია პროექტი, რომლის ძალით სასურველად ცნობილია ქართველ მუსულმანთა შორის მუსულმანურ სკოლების გახსნა, ისე კი, რომ მათში ისწავლებოდეს რუსული და ოსმალური ენები, ხოლო ქართული ენა, ეს მათთვის მშობლიური, არ ისწავლებოდეს. ამბობენ, რომ ამისთანა პროექტი უკვე წარუდგენიათ მეფის ნაცვლისთვის განსახილველად.

ნათქვამია: „კარგი რამ გქირდეს გიკვირდეს, ავი რა საკვირველიაო“. მაგრამ ჩვენ მაინც დარწმუნებული ვართ, რომ გამოფხიზლებული აჭარა აღარ წამოეგება მის „არა მკითხე კეთილის მოსურნეთა“ ანკესზე და თვითვე დაიცავს თავის სამშობლო ენას.

## რუსული პრესა.

რუსეთში შაქრის მონოპოლიის შემოღების გამო „რეჩ“-ში ტუგან ბარანოვსკი, სხვათა შორის, სწერს:

„პირადათ მე დიდათ სასურველად მიმაჩნია შაქრის მონოპოლიის შემოღება არამარტო შემოსავლის თვალსაზრისით, არამედ ეს მონოპოლია საგრძნობლად შეუწყობს ხელს რუსეთში შაქრის წარმოების განვითარებასო“.

ტუგან ბარანოვსკის მიმარჯვენეთა ორგანო „კოლოკოლი“ შემდეგ შენიშვნას აძლევს:

— ტუგან ბარანოვსკის თავისი აზრი სინამდვილე ჰგონია და ეჭვიც არ ეპარება მის სიმტკიცეში.

წარმოვიდგინოთ, რომ შაქრის მონოპოლიით ხაზინა მოიგებს, მაგრამ ამას რა საერთო აქვს შაქრის წარმოებასთან. მთავრობა მონოპოლიას უშერება შაქრის ვაჭრობას და არა მის წარმოებას.

წარმოება ისევ კერძო პირთა ხელში რჩება...

„ჩვენ ყოველთვის ვამტკიცებთ, რომელიმე დარგის ვაჭრობისაგან შემოსავალი უმჯობესი იქნებოდა ხალხისათვის, რომ ხაზინაში შემოსულიყო... რამდენად მეტი სადსარი ექნება ხაზინას, იმდენად ნაკლებ გადასახადებს გასწერს მცხოვრებთ... ამ ომის დროს კი აუცილებლად საჭიროა რაც შეიძლება მეტი შემოსავალი გამოუნახოთ ხაზინასო...

ასე მსჯელობენ დღეს ეს ორი მიმართულების ორგანოები... ერთი შაქრის მონოპოლიის წარმოების გასაუმჯობესებლად სთვლის, მხოლოდ მეორე იმპერიალისტურ მიზნების განმახორციელებელ საგნად...

## ახალი ამბავი.

ქუთაისი.

მოვაგონებთ ჩვენს მკითხველებს, რომ დღეს, დილის 12 საათზე, ქალაქის საბჭოს დარბაზში დანიშნულია ქუთაისის გუბერნიის მცხოვრებ უმაღლეს სასწავლებელში მოსწავლე ახალგაზრდობის დამხმარე საზოგადოების წევრთა წლიური კრება.

ღრმად დამწუხრებულნი მამა დიმიტრი ლევანის ძე ქლენტი, მეუღლე პატკუ, ძმა ლევან და შვილები თათარხან და დიმიტრი, აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთა და მეგობრებს, რომ 4 ივნის ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ ქ. ქუთაისში რელიგიონის საავადმყოფოში გარდაიცვალა პირველის უსაყვარლესი შვილი, მეორის მეუღლე, მესამის ძმა და უკანასკნელის მამა

კოლია (ნიკოლოზ) ქლენტი,

მიცვალებულს დღეს, 5 ივნისს საავადმყოფოდან საღამოს მატარებლით წაასვენებენ დაბა ჩოხატაურში. დაკრძალვის დღე ცალკე გამოცხადდება.

**საზოგადო კრების განსახილველია შემდეგი საკითხები:**

ა) განხილვა და დამტკიცება საზოგადოების მოღვაწეობის ანგარიშისა, სარევიზიო კომისიის მოხსენებისა და მომავალი წლის სავარაუდო ხალჯთ-აღრიცხვისა;

ბ) გამგეობისაგან საჭიროების დროს გაცემული შემწეობის რაოდენობის განსაზღვრა;

გ) საკანცელარიო ხარჯების დასაფარავი ფულის რაოდენობის განსაზღვრა;

დ) არჩევა საზოგადოების საპატიო წევრთა, გამგეობისა, სარევიზიო კომისიის წევრთა და მათი კანდიდატებისა, ხაზინადრისა და მდივნისა.

✦ საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების გამგეობამ გადასწყვიტა მოიწვიოს საზოგადო კრება კვირას, 12 ივნისს. დაბეჭდილი ანგარიში უკვე ურიგდება წევრებს. საზოგადო კრებაზე გასარჩევი კითხვები ცალკე იქნება გამოცხადებული.

✦ რედაქციამ მიიღო ჟურნალ „სასოფლო გაზეთის“ № 11. ჟურნალი შინაარსიანად არის შედგენილი.

✦ ორშაბათს, 6 ივნისს, ქალაქის თვითმართველობის დარბაზში დანიშნულია საბჭოს მორიგი სხდომა.

✦ რ. ლონიდან პარამანოვი დეპეშით აუწყებს ქუთ. ქალაქის გამგეობას: მიუხედავათ იმისა, რომ სარაიონო კომიტეტმა ნება დართო ფქვილის გატანისა, რიგს მაინც არ იძლევიანო.

ქუთაისის ქართული გიმნაზიის მერვე კლასში გამოცდები დამთავრდება 13 და მეექვსეში კი 12 ივნისს

✦ ქუთაისის ქალაქის უფასო სამკურნალოს მაისის თვის განმავლობაში გაუსინჯავს 651 შინაგანი სნეულობის ავადმყოფი ქირურგიული 979—და ქალის ავადმყოფობით 65 ავადმყოფი.

✦ კავკასიის ოლქის სამთამადნო ინჟინერი ცეიტლინი ამ დღეებში ჭიათურას გაემგზავრება შავი ქვის საქმის შესახებ.

✦ ცნობილმა მდიდარმა ანანოვმა შუამდგომლობა აღძრა გუბერნატორის წინაშე, რომ ნება მისცეს თავის მამულიდან გაიტანოს ქ. მოსკოვში 4 ათასი ფუთი და ქ. თბილისში კი ათასი ფუთი ღვინო.

✦ ქუთ. გუბერნატორმა ნება დართო გახსნან მომხმარებელი საზოგადოებები: ს. ლიას (ზუგ. მაზ.) „ამაღლება“, ს. დიდინეძს (ზუგ. მაზ ) „იმედი“, ს ზომლეთს (ოზურ. მაზ.) „სიფხიზლე“ ს. ბელევს (ოზურ. მაზ.), „საშუალება“, ს. ხორშს (ზუგ. მაზ.) „დამაკვირდი“ ს. ზუმს (ზუგ მაზ.) „დახმარება“, ს. ბეჯეთს (სენ. მაზ.) „განთიადი“ და ს. ჩხარს (შორ. მაზ.) „ამხანაგური კავშირი“.

✦ ქუთაისის გუბერნატორმა იარაღის ნებადაურთველათ შენახვისათვის 100 მ. დააჯარიმა ს. მესტის (სვანეთი) მღ. გიორგი. ფალიანი და ს ბუგეულის (რაჭ. მაზ.) მიხეილ გურაბანიძე 10 მ. ან ერთი კვირის ციხეში დატუსაღებით.

### სოფლათ.

სოფ. უშაფათში (სენაკის მაზრა) დღეს, კვირას, დანიშნულია უშაფათის სამეურნეო ამხანაგობისა „ოდიშის“ წლიური კრება. კრებას დაესწრება წევრთა შორის მეხუთე რაიონის აგრონომი ბ. ვას. კანდელაკი განსახილველია შემდეგი საკითხები:

1) წარსული 1915 წლის შემოსავალ-გასავლის ანგარიში;

2) გამგეობის და სარევიზიო კომისიის წევრების არჩევა;

3) ამა წლის ანგარიშის ხარჯთ-აღრიცხვა;

4) სამეურნეო ამხანაგობის წყაროს აღმოჩენა არსებობისათვის;

და 5) პარკის გამოშრობის საქმის მოწყობა სამეურნეო ამხანაგობის კაზარმაში.

## ჩვენი ხელოვნება.

ახლახან თბილისში დაარსდა ქართველ ხელოვანთა საზოგადოება. სამუშაოს ამ საზოგადოებას, ეჭვი არ არის, ბევრი აქვს, მიზნებიც ამისდა მიხედვით მრავალია დასახული, მაგრამ საყურადღებოა ნამეტნავად ერთი მათ შორის. საზოგადოება მოაწყობს მთელ რიგს ექსკურსიებისას საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ქართულ ხელოვნების ნაშთთა შესასწავლად. დიდებული საქმეა ეს, იმიტომ, რომ ხელოვნების ნაშთებს შეისწავლის არა ისტორიკოსი — მეცნიერი, რომელშიაც გონებრივ მუშაობას მოუკლავს ყოველივე გრძნობა, აღმაფრენა, არამედ მხატვარი, რომელიც თავის ნიჭისა და უნარის მიხედვით, ძველ ქართულ ხელოვნების ნაშთთაგან განცდილ შთაბეჭდილებას. აშობიებს ახალ ნაწარმოებს ხელოვნებისას. აქამდე თუ ისტრიკოსები, მეცნიერები გვაწოდებდენ ამ ნაშთთა მშრალ აღწერილობას, ახლა კი ჩვენი მხატვრები მოგვცემენ მხატვრულ განმარტებას ამ ნაშთთა, ცოცხალ სულს ჩაჰბერვენ და თავის ახალ ნაწარმოებთა საშუალებით გვაგრძნობიებენ სულს ქართული სამხატვრო ხელოვნებისას.

თუ ჩვენ გვინდა გვქონდეს ოდესმე ქართული ახალი მხატვრობა, ამისთვის აუცილებლივ საჭიროა გრძნობა ჩვენი ძველი მხატვრობის სულისა, ვინაიდგან იგი გამომხატველია ჩვენი საკუთარი, ნაციონალური ელფერისა; მხოლოდ ნაციონალური ელფერი და თავისებურობა არის ისეთი რამ, რასაც, ძალუძს, უეჭველია, გამოაღებიოს სათანადო ნაყოფი ხელოვანის შემოქმედებას. ქართველს ხელოვანს, ეჭვი არა არის, ეადვილება უფრო ქართველობა, ვიდრე მაგალითად, ფრანგობა ან იტალიელობა, რადგან ის თვისი ბუნებისა და ქვეყნის შთაბეჭდილებას ისე განიცდის, როგორც სხვა ქართველი.

ნაციონალური სული ისეთი მამოძრავებელი ძალაა, რომელიც აცხოველებს ხელოვანის ფანტაზიას და აღრმავებს.

ყველა ეროვნების ხელოვნებას ხალხური ხელოვნება და დროთა მიერ დამუშავებული ტრადიციები უძევს საფუძვლად უკანასკნელ წლებში რუსულმა ხელოვნებამ მთელი ქვეყნის ყურადღება მიიპყრო; რუსული ხელოვნების ნაწარმოები დღეს ევროპაში კლასიკურად, დასრულებულად არის ცნობილი და ერთგვარი გატაცებაა ყველა რუსულით.

გადაავლეთ თვალი და დარწმუნდებით, რომ ხელოვნების ყველა ნაწარმოები მატარებელია ღრმა ნაციონალური სულისა. მოაცალეთ მას ეს ნაციონალური ელფერი და თავისებურობა და მათგან არაფერი აღარ დარჩება.

ეს ითქმის რუსთა როგორც მხატვრობაზე, მუსიკაზე, თეატრზე, ისე ხორეოგრაფიაზე.

თუ ამავე თვალსაზრისით განვიხილავთ სხვა დაწინაურებულ ერთა ხელოვნებას, მათზედაც ეს ითქმის.

სწორედ დიდი მადლობის ღირსნი არიან ჩვენი ხელოვნების აღორძინების მესვეურნი და, თუ ჯეროვანად შესძლებენ საქმის მოწყობას, ახლო მომავალში, ჩვენ მოწმენი გავხდებით ქართული ხელოვნების ისეთი განვითარებისა, რომ მთელი ქვეყანა გაოცებულ დარჩება.

რომელი ხელოვანიც დაკვირვებია ქართველის სულს, მის ნიჭსა და ხასიათს, მას გადამეტებულადარ მოეჩვენება ეს სიტყვები. მხოლოდ სათანადო მიზანს სჭირია სათანადო გზა.

ზ. — ლი.

## მივხედოთ სვანეთს.

ჩვენდა სავალალოდ დღეს ჩვენი პატარა სამშობლო ერთს განახლებულ განვითარების გზაზე მდგომ სხეულს არ წარმოადგენს.

თუ ერთი ნაწილი საქართველოისა „განმანახლებელ მოძრაობის“ ფერხულშია ჩაბმული ძლიერად თუ სუსტად გამოფხიზლება-განვითარების გზაზე დამდგარა და მთელ კაცობრიობას ესაუბრება, ამ დროს მრავალი კუთხე საქართველოისა სრულიად ყრუდ არის, არავითარ მონაწილეობას არ იღებს „ჩვენს საერთო საქმეში“, თითქოს იგი ჩვენი ოჯახისშვილი არ იყოს...

თუ ერთ მხარეს „ფრაკი“ ჩაუცვამს და მთელ კაცობრიობას ეხმაურება, ამავე დროს მეორემ ანბანიც არ იცის და არა თუ „კაცობრიობის გამოხმაურება შეუძლიან, არამედ ჯერ ისიც კი ვერ შეუგნია, რომ ადამიანი, როცა ავად გახდება, მას წამლობა და ექიმობა ეჭირვება.

საქართველოს ამ ჩამორჩენილ კუთხეში საშუალო საუკუნოების ველური ჩვეულება კიდევ ჯერაც არ მოსპობილა, ათასგვარი ცრუმორწმუნეობა კვლავ ძალაშია...

რაიც ხელს უწყობს ამ მხარეების ყოველგვარად ჩამოქვეითებას და დაკნინებას

ასეთს ჩამორჩენილ და უპატრონოდ მიტოვებულ მხარეთა რიცხვშია დღეს საბრალო სვანეთი.

ამ კუთხის მცხოვრებნი თითქოს იმიტომ გაუჩენია განგებას, რომ მიუვალ კლდე-ღრეებში მხოლოდ ამაყ ბუნებასთან ჰქონდესთ კავშირი და იქვე მოკვდენ თვალ გაუხელადდ...

სვანს თავი სამშობლოში განათლებისა და გამოფხიზლების შემტანი არავინ ეკარება. მხოლოდ თუ თავად ჩამოვიდა ბარში რა ხეირი ადგება? მიწის მუშაობის მეტს მას არავინ არაფერს არგუნებს.

დიაღ, სვანეთი ყოველგვარად მოწყვეტილია... სვანებისთვის არც სკოლა, არც ექიმი, არც სამკითხველო, არც რაიმე კულტურული გასართობი...

არც თავისი ორი სამი განათლებული ინტელიგენტი, სწყალობს სვანეთს. მათ სრულიად დავიწყებიათ სიმწარე თავის მშობლისა...

ქართველი საზოგადოება კი, რომელიც ამ ბოლო დროს შეძლებისადაგვარად ყველა კუთხეს ეხმარება, სრულიად არ იხსენიებს საბრალო სვანეთს...

სვანეთის დღევანდელი ყოფა-ცხოვრების სინამდვილე მეტად მწარეა...

კულტურულ ჩამორჩენას რომ კაცმა ყურადღება არ მიაქციოს, ჩვენს თვალწინ წარმოგვიდგება მეტად საზარელი და უსაშინელესი სურათი...

სახელდობრ, სვანეთს შიან... სვანები სიმშილით იხოცებიან.

შეუძლებელია დუმილი, ყურადღების მიუქცევლობა...

სვანეთი ჩვენი ღვიძლი ძმაა...

თუ ჩვენა გვსურს აღორძინება, განახლება, გამაგრება, მაშინ ჩვენთვის აუცილებლად საჭიროა, რომ ყოველი ჩვენი კუთხე მომზადებული იყოს...

ჩვენმა ქველმოქმედებამ სვანეთსაც უნდა მიხედოს..

ქართველმა ახალგაზდებმა უნდა შეაგროვოს წიგნები და ჟურნალ გაზეთობა სვანეთისთვის...

ქართველმა გავლენიანმა პირებმა მთავრობასთან უნდა იშუამდგომლოს სვანეთისკენ გზის გასაყვანად...

დიახ უნდა მივხედოთ სვანეთს, აუცილებლად უნდა მივხედოთ...

ირ — დი.

P. S. გუშინ ქ. თბილისს გაემგზავრა სვანების დეპუტაცია ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების წინაშე გახმარების სათხოვნელად. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ქართული საქველმოქმედო საზოგადოება მათ თხოვნას არ უგულებელ ჰყოფს.

ირ — დი.

**ქართული სამეცნიერო და საფილოსოფოსო ტერმინოლოგია**

იოვანე პეტრიწის თარგმანის მიხედვით.

ეს ტერმინები ვპოვე იოვანე პეტრიწის მიერ ნემესიოს ეფესელის თხზულების — „ბუნებისათვის კაცისა“ თარგმანში.

ნემესიოს ეფესელი ცხოვრობდა მეოთხე საუკუნის მეორე ნახევარში. ვიდრე წარმართი იყო, მჭერმეტყველებას ასწავლიდა, შემდეგ ვექილობას ეწეოდა და ბოლოს კაპადოკიის პრეფექტად იყო. დასასრულ გრიგორი ღვთისმეტყველის გავლენით ქრისტიანობა აღიარა და ეპისკოპოსად განწესდა ქალაქ ემესაში ფინიკიისა და ზემო სირიის საზღვრად მდინარე ორონტზე.

პირველმა სამმა საუკუნემ მიანიჭა ქრისტიანობას სამი დიდი მოაზრე: ტერტულიანი (დასავლეთით), კლიმენტ ალექსანდრიელი და ორიგენი (აღმოსავლეთით). ტერტულიანი ამტკიცებდა სულის სხეულებრივობასა და ებრძოდა გნოსტიკების დუალიზმს, ე. ი. ადამიანის ბუნების კეთილ და ბოროტ საწყისად, სულიერად და ხორციელად განწვალვის იდეას. კლიმენტ ალექსანდრიელიც უარჰყოფს სხეულიცოდვილობასა და აღიარებს სხეულს, როგორიც ტერტულიანი, პირიქით, სულის კეთილშობილ ჭურჭლად. ორიგენის ანთროპოლოგია კი ყოველსავე ემპირიულ საფუძველს მოკლებულია, წმინდა წყლის მეტაფიზიკას წარმოადგენს და მოგვაგონებს პლატონის მოძღვრებას სულისა და იდეის შესახებ.

მეოთხე საუკუნეში ბრწყინავდენ შესანიშნავი ღვთის-მეტყველნი: წმიდა ათანასე, ვასილი, ეფრემ სირელი, გრიგორი ნისელი, გრიგორი ღვთის-მეტყველი, ეპიფანე, ნემესიოს და სხ.

მაგრამ ყველაზე უფრო სრულად და სავსებით ნემესიოს ეფეელის თხზულებაშია განმარტებული ერთი მხრით ძველის, წარმართული დროჲს ანთროპოლოგიური იდეანი და მეორე მხრით მაშინდელი მსოფლმხედველობა. ერთი სიტყვით მისი ანთროპოლოგია—სინთეზია პლატონისა და არისტოტელის ფილოსოფიისა და ქრისტიანული მოძღვრებისა და მასში საერო, მეცნიერულ-ფილოსოფიური მეტია, ვიდრე სარწმუნოებრივ საღვთის-მეტყველო (იხ. თ. ს. ვლადიმირსკის თარგმანის წინასიტყვაობა).

აღსანიშნავია, რომ, მაშინ-როდესაც არც ნემესიოს ეფესელის ხსენებული თხზულება და—ვგონებ არც სხვა მაშინდელი შესანიშნავი საღვთისმეტყველო თხზულება—ევროპის არცერთს ცოცხალს ენაზე არ იყო გადათარგმნილი, ეფრემ მცირისა, იოვანე პეტრიწისა და სხვა მთარგმნელთა წყალობით უკვე მეთერთმეტესა და მეთორმეტე საუკუნის დამდეგს იქმნენ გადმოქართულებული.

დიდი სიამოვნებით წავიკითხე ხსენებული თხზულება, რომელშიაც დიალექტიკური აზროვნობა სისრულემდის მიყვანილია. შეიძლება ითქვას, რომ იმ ემპირიული ცოდნის, ე. ი. იმ მწირი ფაქტიური მასალის, რომელიც კი მაშინ მოეპოებოდათ, უკეთ მოხმარება და უფრო ლოღიკურ დასკვნათა გამოყვანა—შეუძლებელია და აზროვნებითი ენერგია მაშინ—დღევანდელზე უდარესი არ ყოფილა.

შინაარსის სიმდიდრე შობს ფორმისას და სამეცნიერო და საფილოსოფო ტერმინოლოგია დღევანდელ მეცნიერებასა და ფილოსოფიას ძველებურისაგან შეუცვლელად დაუმკვიდრებია.

მაშასადამე ახლანდელი მეცნიერულ-ფილოსოფიური ტერმინოლოგიის წყარო—ძველი ბერძნული ფილოსოფია და მეცნიერება ყოფილა. და ეს ტერმინოლოგია შეუცვლელად ჯერ ლათინურს უსესხებია, შემდეგ კი სხვა ევროპიულ ენებს.

ამიტომ აქვსთ დიდი მსგავსება სხვადასხვა ენის ტერმინებს: მაგალითად, ამაოდ გვგონია რუსიციზმი წინადადება—„ეს დასკვნა ამ ფაქტებიდან გამომდინარეობს“, „ეს დასკვნა ამ ფაქტებიდან უნდა გამოვიყვანოთ“, „განყენებული“ და სხ.—რადგან ამგვარადვეა ყველა ენაზე.

და მეთერთმეტე მეთორმეტე საუკუნის ქართული სამეცნიერო-საფილოსოფო ტერმინოლოგია სავსებით შეეფერება საზოგადოს, ევროპიულ ენებზე გადმოღებულ ტერმინოლოგიას და თითქმის უცვლელად შეგვიძლია ვიხმაროთ დღესაც.

დასასრულ ულრმესი მადლობის ღირსია ს. რ. გორგაძე, რომლის დაუღალავი შრომა შეძლებას გვაძლევს აღვადგინოთ და განვაახლოთ ძველი ხსენებული ტერმინოლოგია.

ამ ლექსიკონის შედგენაში სხვათა შორის მისი ლექსიკონიც დავიხმარე.

ამასთანავე იოვანე პეტრიწის დროჲს ტერმინოლოგიას ალაგალაგ ახლანდელი ტერმინოლოგიაც დავუპირდაპირე, რომ ძველი—თანამედროვე საჭიროების შესაფერად შემეცვალა და შემესწორებია.

**ტერმინების ლექსიკონი.**

**ა.**

**აგებული**, აშენებული, შექმნილი, შეზავებული, გაჩენილი, устроенный, сложенный, соединенный.

**ადგილი**, пространство.

**ადინხი**, (ბერძნული სიტყვაა) ჯირკვალი, желѣза.

**ავხმიანობა**, какофонія.

**ზარმაცი**, ეს სიტყვა ვერა ვპოვე ხსენებულ თხზულებაში და აქ მხოლოდ ტერმინოლოგიის შესავსებად მოვიყვანე. Рычагъ.

**აზრი**, соображеніе, мысль.

**ამოსაჩენელი**, დამტკიცება, доказательство.

**ამოჰრის**, выталкиваетъ.

**ანაგები**, აგებულება, тѣлосложеніе. Habitus.

**აპკი**, перепонка.

**არა არსი**, несуществующее, ничто.

**არარსი**. იხ. არაარსი.

**არეობა**, უკიდურესი სითხელე და მჭვირვალობა, тонкость и розрачность.

**არ ერთგანობს**, არ არის შეერთებული, не соединено.

**არიგი**, не тождественный.

**არა გრძნული**, безчувственный.

**არა დამცალებელი**, непрестанный.

**არა მართალი**, недостовѣрный, призрачный.

**არტირია**, артерія.

**არა უდარე**, не хуже, не менѣе.

**არკმარება**, недостаточность

**არმყოფი**, несуществующій.

**არსაიძულებელი**, неневозможный,

**არსება**, бытіе, существо, субостанція.

**არსებითად**, по существу.

**არსებოანი**, собственціональный.

**არსობა**, существованіе.

**არც გარდამეტება არც მოკლება**, не увеличиваться и не уменьшаться.

**ასაკი**, ხნოვანება, возрастъ

**ასოჲ**, ელემენტი, სტიქია, елементъ, стихія.

**აღგება**, შექმნა, сотвореніе.

**აღგებული**, შექმნილი, твореніе.

**აღვლენა**, ასვლა, восхожденіе.

აქედან: აღავლენს, აღვლენილი.

**აღიძნების**, складывается, образуется.

**აღიხოცების**, ჰქრება, ისპობა, исчезаетъ.

**აღკაზმავჲ**, დასკვნის გამოყვანა, выводить заключеніе. ნაწილობითიდგან საყოველთაოჲ არ აღიკაზმების, изъ частнаго нельзя заключать къ общему.

**აღკომლვა**, ორთქლად ქცევა, испаряться.

**აღმომავსებელი**, восполняющій.

**აღმოცენება**, вырастать, возникать.

**აღმოფშვინარეობს**, имѣетъ дыханіе.

**აღმოსხმა** изрыгать.

**აღმოხდომა**, მოხდენა, исходъ, исполненіе.

**აღმოჩენა**, доказатсльство.

**აღმოჩინებული**, დამტკიცებული—доказанное.

**აღმურკვნელობითი ბალღამი**, სათესლე ბალღამი, сѣмянная жидкость.

**აღორთქლება**, испаряться.

**აღორძინებაჲ**, расти, возрастать.

**აღრთხმა**. сосредоточиться.

აქედან: აღრთხმულა, сосредоточился.

**აღსასრული**, результатъ, конецъ.

**აღუწადებდეს**, აქედან აღწადება—возбуждать.

**აღუჩნდება**, ეჩვენება – представляется.

**აღქმაჲ**, образовать;

აქედან: აღიქუამს—образуетъ, აღიქმნების—образуется, მიიქმნა, მოხდა—произошло.

**აღჩენილი**, დაკვირვების საგანი, გარეგანი მოვლენა, наблюдаемое, внѣшнее явленіе.

**აღჩევალებაჲ**, ამორჩევა, выборъ.

**აღხსენება**, გახსენება, воспоминаніе.

**აჰაესერა, აჲ**, вотъ.

ვასილ წერეთელი.

# რუსეთი.

როგორც სატახტო გაზეთებს გაუგიათ, ამ მოკლე ხანში პრემიერი შტიურმერი მოიწვევს გუბერნატორების მეორე თათბირს, ჩრდილოეთ გუბერნიებიდან. „რუსკ. სლოვო“ სწერს: ამ ჟამად განსაკუთრებული კომისია ამთავრებს იმ ჟურნალის შედგენას, სადაც აღნიშნულია გუბერნატორების წარსული თათბირის მოქმედება. ამ მოქმედებას ერთ ერთ სხდომაზე მინისტრთა საბჭო განიხილავს და შემდეგ მომავალ გუბერნატორების თათბირს გადასცემს სახელმძღვანელოდ.

ჩვენმა გამარჯვებებმაო, სწერს: „რუსკ. სლოვო“, დიდი მორალური გავლენა მოახდინა პუტილოვის ქარხნის მუშებზე, რომელთაც ყოველივე უქმე უარყვეს და მთელ დროს „თავდაცვის“ საქმისთვის მუშაობას ანდომებენო“.

რადგანაც ამ ჟამად მთელს რუსეთში საექიმო წამლების დიდი კრიზისია, ამიტომ ხალხის ჯანმთელობის დამცველ კომისიას განუზრახავს შუამდგომლობა აღძრას სამედიკამენტო ქარხნის დაარსების შესახებ.

სამარაში ფქვილზე, შაქარსა და ხორცზე შემოიღეს „საქარტო სისტემა“.

კურსკში კიევის სამხედრო ოლქის უფროსის განკარგულებით, მოსკოვის გაზეთების გაყიდვა აკრძალეს.

ბაიკალის იქითა მხარეში გადასწყვიტეს კოოპერატიული საზოგადოების დაარსება.

30 მაისს ქ. პეტროგრადში გაიხსნა საურთიერთო კრედიტების წარმომადგენელთა სხდომები. სხდომებს სულ 150 კაცი დაესწრო.

ნიჟნი ნოვგოროდში გარდაიცვალა ცნობილი რუსი საზოგადო მოღვაწე ა. ა. საველიევი.

მთავარსარდლის შტაბი აცხადებს, რომ იმ ჯარისკაცების ოჯახებს, რომელნიც თავისი ნებით დანებდებიან მტრებს, დახმარება არ მიეცემათო.

„მოსკოვის უწესოები“-ს დროს დაზარალებულებმა შინაგან საქმეთასამინისტროში განცხადება წარადგინეს და ზარალის ანაზღაურებას ითხოვდენ ეს წინადადება ჯერჯერობით არ მიუღიათ.

**უცხოეთი.**

ამერიკის რესპუბლიკის კონვენტმა პრეზიდენტის კენდიდატურას კიდევ მიუმატა მთელს რესპუბლიკაში განთქმულ იურისტის იუზას კანდიდატურაც. რუზველტმა პრეზიდენტობაზე უარი განაცხადა

იაპონიაში სხვადასხვა მიმართულების პარტია შეერთებულა საგარეო პოლიტიკაში.

ცნობილ ჩეხელ მამულიშვილს კრამარჟას, რომელსაც ავსტრიის საველე სასამართლომ სახელმწიფო ღალატისათვის სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა, მეფე ალფონსის შუამდგომლობით, სასჯელს უმსუბუქებენ.

20 ივნისს სხჩქაროდ მოიწვევენ ბულგარეთის პარლამენტს, რომელმაც უნდა განიხილოს სამხედრო ბიუჯეტი.

# ხარაგოულში მყოფ მუშაკთა საყურადღებოდ*)

იმ საზოგადოების ნაწილს, რომელიც ოდნავ თვალყურს ადევნებს ქართულ გაზეთებს, უთუოდ ეხსომება, თუ რამდენი ლანძღვა-გინების კორესპონდენციები იბეჭდება ამჟამათ დაბა ხარაგოულიდან.

ფრიად სამწუხაროდ უნდა ჩაითვალოს ის მოვლენა, რომ ჩვენი პატარა ჯგუფი ინტელიგენციისა ორ ნაწილათ გაიყო და სრულად უქმად და უნაყოფოდ კარგავს სანეტარო დროს.—გული ბოღმით გვევსება, როდესაც უკმაყოფილება გესმის ერთის ჯგუფისა მეორესადმი: „ჩვენ ვშრომობთ, არ გვზოგავთ არავითარ ძალღონეს კეთილ საქმეებისთვის და ისინი კი, (გულისხმობენ მეორე ჯგუფს), დასმარების მაგიერ დაგვცინიან და პრესის საშუალებით ქვეყანას ამცნობენ, თითქო ჩვენ რაღაც ახალ მოდის „მოღვაწენი“ ვიყოთო. ბრაზი გახრჩობს, როდესაც გესმის „სამედიატორო სასამართლო“ სამკითხველო-თეატრში „უწესობა“ „კოოპერაცია—საკრედიტო ამხანაგობის შეხლა შემოხლა და სხვადასხვა.

მე აქ, რასაკვირველია, არ შევალ მის გახილვაში, თუ ვინ არის მათ შორის მართალი და ვინ არის მტყუანი, ვიტყვი მხოლოდ, რომ უმთავრესი ამის მიზეზი არის მხოლოდ პირადი „შური“, „მტრობა“ და „ქიშპი“, და რაც მეტი ხანი გადის ეს სენი მეტს სერიოზულ ხასიათს ღებულობს,—ამისათვის მოგიწოდებთ: გონს მოდით, ბატონებო! დროა, თავი ანებოთ ასეთ სამარცხვინო ბრძოლას და დაადგეთ გამოფხიზლების გზას, იცოდეთ, რომ ძმობით, ერთობითა და სოლიდარობით კეთდება ყოველივე კეთილი საქმე და თუ თქვენც გინდათ რომ ამგვარს კეთილ საქმეებს ექნეს გადგმული ჩვენში ღრმათ ფესვები, მოსპეთ ეს პირადი „შური“, „მტრობა და ქიშპი“, გაუწოდეთ ერთმანეთს ხელი და შეერთებულის ძალით იზრუნეთ ადგილობრივი კულტურული დაწესებულების საკეთილდღეოთ და გარწმუნებთ მხოლოდ ამ გზით აყვავდება ჩვენი ყოველი კეთილი საქმე.

დასასრულ რაც შეეხება ბ. „ორბის“ წერილს, გაზ. „სამშობლოში“ № 355 დასტამბულს, ვიტყვი მხოლოდ: სამწუხაროა და სავალალო, რომ ასეთ კორესპონდენტებს აქვთ ადგილი ჩვენს პატარა ხარაგოულში, რომელნიც, მხოლოდ თავის საკუთარ „მე“-სთვის მზათ არიან დედამიწაზე გაასწორონ სრულიად უდანაშაულო პირები, სამარცხვინო ბოძზე ააკრან მათი თავმოყვარეობა და ფეხ ქვეშ გასთელონ მათი შრომის მოყვარეობა კეთილ საქმეებისადმი. საჭიროა ამისთანა ყალბი კორესპონდენტები დაუკვირდებოდენ საქმის ვითარებას და ისე ათავსებდენ წერილებს გაზეთის ფურცლებზე, [illegible] მეტი არავითარი ნაყოფი არ მოაქვთ კეთილ საქმეებისათვის.

ფეხველის პირელი.

*) თუ ეს წერილიც პირად გულისთქმაზე არ არის აშენებული, ჩვენ სიამოვნებით ვეგებებით ბ-ნ ჯიხველის პირელის მოწოდებას და ჩვენის მხრით ვსთხოვთ ხარაგოულის მუშაკებს თავი დაანებონ წვრილმანობას და შეერთებულის ძალით აწარმოვონ საზოგადო საქმეები. რაც შეეხება ბ-ნ „ორბს“, ჩვენ ის სანდო პირად მიგვაჩნია და ვწუხვართ, თუ შეცდომაში შეგვიყვანა. საზოგადოდ, რედაქციას საშუალება არა აქვს თუ არ ნდობით, სხვაფრივ მოეპყრას თავის კორესპონდენტებს და ამიტომაც არის, რომ ორივე მხარეს უბეჭდავს ხოლმე წერილებს სიმართლის გამოსარკვევათ მორიგება და შეთანხმება კი ადგილობრივ მუშაკების საქმეა. **რედ.**

წერილი რედაქციის მიმართ.

ბატონო რედაქტორო!

გთხოვთ დამიდასტუროთ, რომ 12 მარტს დ. ზესტაფონიდან მოთავსებული წერილი „Proximus“-ის მე არ მეკუთვნის.*)

სტუდ. ვარლამ ფერაძე.

*) ვამოწმებთ, რომ ეს წერილი სტუდ. ვარლამ ფერაძეს არ ეკუთვნის.

რედ.

რედაქტორი **ი. ცინცაძე.**
გამომცემელი ამხან. „**სამშობლო**“



**რკინის გზის მიმოსვლა.**

(დრო ადგილობრივია ნაჩვენები).

ქ. ქუთაისს მოდის.

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისიდან | — დილის | — 8 ს. | 5 წ. |
| „ | — სალამ. | — 8 ს. | 55 „ |
| ბათომიდან | — დღისით | — 12 ს. | 45 „ |
| „ | — ღამის | — 2 ს. | 25 „ |
| ფოთიდან | — დილის | — 10 ს. | 31 „ |
| ტყიბულიდან | — საღამოს | — 6 ს. | 55 „ |
| შორაპნიდან | — დილის | — 9 ს. | 24 „ |

ქ. ქუთაისიდან გადის

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისისაკენ | — დილის | — 11 ს. | 5 „ |
| „ | — ღამის | — 12 ს. | 30 „ |
| ბათომისაკენ | — საღამოს | — 7 ს. | 10 „ |
| „ | — დილის | — 6 ს | — „ |
| ფოთისაკენ | — დღისით | — 4 ს. | 13 „ |
| ტყიბულისკენ | — დილის | — 5 ს. | 25 „ |
| შორაპნისაკენ | — დღით | — 6 ს. | 25 „ |

**მუშაობს ხრესილის მადნეული წყლის ძმ. ყორყოლაძეების სამკურნალო**

**აბანო.**

აბანო მდებარეობს მაღლობ, ბუნებით შემკულ მთის ჰაერზე და, როგორც ნამდვილ გამოირკვა, კურნავს მრავალ სხვადასხვაგვარ ავათმყოფობას: ქარებს (რევმატიზმს), სხვადასხვაგვარ მუწუკს, საყმაწვილოს, ნერვების სისუსტეს, ჩაყოლილ ციებას (მალარიას), კუჭის ტკივილს, ვენერიულ ავათმყოფობას, ეგზემას, სისავნეს და სხვა. წყალი მიიღება ცივი და თბილიც. ხრესილში იმყოფება მუდმივი ექიმი, სადაც მსურველს შეუძლია მიმართოს დარიგებისათვის. არის სუფთა საკუთარი ვანები, სუფთა ბინა და სასმელ-საჭმელი. ფასები ყოველივეზე ძლიერ ზომიერია. აბანო მდებარეობს სადგურ „სერნია ვოდში“. ხრესილში სადგურია მატარებლის გასაჩერებლათ. სადგურიდან 150 საჟენია აბანომდი. ქუთაისის სადგურზე მოითხოვეთ ბილეთები სადგურ ხრესილის „სტანცია სერნია ვოდის“. ქუთაისიდან მატარებელი გადის დილით და ბრუნდება საღამოობით.

თ.

**ავათმყოფნი სუსუნატით**

დიდი დროის დაკარგვისა და თავიანთი სენის უშედეგო წამლობის მაგიერ ამჟამათ გამოგონილია პროფეს. მორნის მიერ ახალი საშუალება, რომელიც მეცნიერულათ არის შემზადებული და ავათმყოფთ სრულებით კურნავს მოკლე დროში ამ სენისაგან. ეს საშუალებაა **ბლენიოზოლი** პროფესორ მორნისა. ბლენიოზოლი შესდგება ახალ უკანასკნელათ გამოგონებულ ქიმიურ ელემენტებისაგან და საექიმო პრაქტიკაში საზოგადოების დიდი ყურადღება მიიქცია, როგორც რადიკალურმა გამკურნებელმა საშუალებამ ქრონიკულ სუსუნატისა, ტყლიპისა, ჭაჭებისა და შარდის ბუშტის ანთებისაგან. პროფ. მორნის **ბლენიოზოლი** რადიკალურათ სპობს გონორეის ბაცილებს, რა სიღრმემდისაც უნდა იყოს სხეულში ჩამჯდარი; ბლენიოზოლი ახდენს შარდის ბუშტის დეზინფექციას და მალე სპობს სიმწვავეს, ტკივილებს, დენას და სრულებით ასუფთავებს სუსუნატის სენით მოდებულ სხეულის ნაწილებს. ყველანი განურჩევლათ სქესისა, ვინც კი შეპყრობილი არიან ამ სენით ვალდებული არიან იხმარონ „**ბლენიოზოლი**“, როგორც ერთადერთი საშუალება გონორეი—სუსუნატისაგან გასათავისუფლებლათ. ამ საშუალებით მორჩენილ სნეულება მეორეთ აღარ განახლდება. კლინიკურ საავათმყოფოებში გამოკვლევით დამტკიცებულია, რომ ბლენიოზოლი დასაწყისშივე სპობს სუსუნატისაგან წარმომდგარ შედეგებს. რადიკალური მოქმედება ბლენიოზოლისა დამოწმებულია მრავალ კლინიკასა და საავათმყოფოებში.

**ბლენიოზოლი** იყიდება ქუთაისში მხოლოდ ქუთაისის განყოფილებაში „საექიმო პრაქტიკულ ლაბორატორიისა“ **პ. შავერზაშვილის სააფთიაქო მაღაზიაში**, გიმნაზიის ქუჩა, თეატრისპირდაპირ.
ფასი ერთი კოლოფის 3 მან. სრული გათავისუფლებისათვის საჭიროა 3—5 კოლოფ.

**პოპულიარული ბროშურა იგზავნება უფასოთ.**

ბ. კოლეგოვი იტყობინება: „თქვენი პრეპარატის „ბლენიოზოლის“ ხმარების შემდეგ სრულებით გავთავისუფლდი სენისაგან, რისთვისაც გულითად მადლობას გწირავთ. ყველა ჩემს ნაცნობს ვურჩევ მიმართონ ამ საშუალებას, რადგანაც ბლენიოზოლმა მომანიჭა სრული სისაღე სხვა დანარჩენი საშუალებანი, რომელიც კი ვიხმარე წამლობის დროს ცუდათ მოქმედებდენ და ვერც სნეულებისაგან გამათავისუფლეს.

თქვენი ურდგულესი **ია ნ. კოლეგოვი.**

ქ. პეტროვსკი სირ-დარის ოლქი. 9 (წლიური)